

აფხაზეთში და ოსებში მიიღეს არა დამოუკიდებლობა, არამედ სრული დამოკიდებულება რუსეთზე

2008 წლის აგვისტოს ომიდან 10 წელი გავიდა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ომის შედეგად შექმნილ ვითარებას „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი აფასებს. მინისტრი ასევე საუბრობს ქართული მხარის მიერ წარმოებულ პროგრამებსა და საოკუპაციო რეჟიმების ქმედებებზე.

- ქალბატონო ქეთევან, როგორ შეაფასებთ გასულ 10-წლიან პერიოდს. რა შედეგი დადგა რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფისა და ტერიტორიების ოკუპაციის შედეგად?



- საქართველოს ისტორიაში უმძიმესი და ტრაგიკული დღეების 10 წლისთავია. დღეს კიდევ ერთხელ განსაკუთრებულ პატივს მივაგებთ ყველა დაღუპულს - გმირებს, სამოქალაქო მოსახლეობას. ეს არ არის მხოლოდ ისტორიის გახსენება, ეს არის ათასობით ადამიანისთვის ყოველდღიური პროცესი და ყოველდღიური გამოწვევა 10 წლის განმავლობაში, ამიტომ ამ მოვლენებზე მხოლოდ წარსულში, რა თქმა უნდა, ვერ ვისაუბრებთ. შედეგი, რომელიც მივიღეთ, არის ძალიან მძიმე. ეს შედეგი მძიმეა როგორც ჰუმანიტარული, ისე უსაფრთხოების თვალსაზრისით - საკუთარ სახლებში ვერ ბრუნდებიან დევნილები. 60-ზე მეტ სოფელში ყოველდღიურად უმკლავდებიან მავთულხლართებს, ხედავენ, როგორ გადაადგილდებიან რუსი ჯარისკაცები, მოსახლეობას უკანონოდ აკავებენ და არ აძლევენ საკუთარ მიწაზე წვდომის, საფლავების მონახულების, ეკლესიაში შესვლის და სანთლის დანთების საშუალებას... ეს არის მძიმე ყოველდღიურობა. კიდევ უფრო მძიმეა მავთულხლართებით იზოლაციაში მოქცეული მოსახლეობის მდგომარეობა სოციალურ-ეკონომიკური, ჰუმანიტარული და უფლებრივი თვალსაზრისით. არ ვსაუბრობ ახლა მხოლოდ ეთნიკურად ქართველ მოსახლეობაზე, რომელიც გალსა და ახალგორში ცხოვრობს და მართლაც არის ეთნიკური დისკრიმინაციის მსხვერპლი. მე ვსაუბრობ ყველა მოსახლეზე, რადგან იქ მომავლის ან პერსპექტივის განცდა ფაქტობრივად, არ არის ან ძალიან ცოტას თუ აქვს შერჩენილი. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ 1989 წლის საბჭოთა მოსახლეობის ბოლო აღწერასთან

შედარებით, ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა 80%-ით არის შემცირებული, ხოლო აფხაზეთის დაახლოებით 70%-ით. ცხადია ძირითადად დევნილი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ხარჯზე, თუმცა არა მხოლოდ. ცხინვალის რეგიონი ბოლო 10 წლის განმავლობაში, ოსებმაც დატოვეს და რეგიონი იქცა ფაქტობრივად, გაფართოებულ სამხედრო ბაზად, ან შეიძლება ითქვას პოლიგონად. ადამიანებს თითქმის ყოველდღიურად ესმით ტყვიების და აფეთქებების ხმა სამხედრო წვრთნებიდან - ეს საუბედუროდ „ჩვეულებრივი“ მოვლენა გახდა. ორივე რეგიონში წელიწადში 100-ზე მეტი ასეთი მანევრი ტარდება, რაც არ და ვერ იქნება მოსახლეობის კმაყოფილების გამომწვევი... ფაქტი ისაა, რომ სამჯერ მეტ ადამიანს აკავებენ ცხინვალის რეგიონიდან დანარჩენ საქართველოში მოხვედრის მცდელობისას, ვიდრე პირიქით. ადამიანების გადმოსვლის სურვილი, როგორც აფხაზეთიდან, ისე ცხინვალის რეგიონიდან იზრდება და ამ დროს კეტავენ გადასასვლელებს. არსებობს ანონიმი მომხმარებლები „ფეისბუქში“, ვინც იმ ადამიანებს „ამხელს“ და ცდილობს გაკიცხოს „მოღალატეობისთვის“, თუ კონტაქტი ექნება ქართველებთან. ეს არის ძალიან ღია და პრინციპში მარტივად დასანახი დაყოფისა და დაშორიშორების პოლიტიკა, რომელიც რუსულ სამხედრო და პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება, ისიც მოკლევადიანად. InterPressNews.Ge გრძელვადიანად, ეს არც რუსეთის ინტერესებში შედის, რადგან ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობების ქონა თავისუფალ და განვითარებულ საქართველოსთან სამეზობლოში უფრო მომგებიანი იქნებოდა. თანაც ვერც ამ ხისტი მეთოდებით, ტანკებითა და მავთულხლართებით შეაკავებენ ადამიანებს დაუსრულებლად და წაართმევენ განვითარების და პროგრესის შესაძლებლობას, მით უფრო 21-ე საუკუნეში. ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური და უსაფრთხოების მდგომარეობა ადგილზე ყველას წინააღმდეგ მუშაობს. არც ქართველების, არც აფხაზების და არც ოსების ინტერესში ეს არ შედის. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კი რუსეთის მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობის ნაცვლად, მიიღეს ფაქტობრივად, სრული დამოკიდებულება რუსეთზე. აფხაზურ საზოგადოებაში განსაკუთრებით ხშირად და სამართლიანადაც გამოხატავენ შიშს და კრიტიკას რუსეთის მიმართ, რადგან მზარდად აღიქვამენ საკუთარი იდენტობის დაკარგვის შიშს. დინამიკა, რომელიც 10 წლის განმავლობაში არსებობს, არის ცუდი და ჩვენი ინტერესების საწინააღმდეგო ანუ დრო ამ შემთხვევაში არ მუშაობს ადგილზე მცხოვრებლების სასარგებლოდ.

- ამ შემთხვევაში დრო ხომ არ მუშაობს ოკუპანტი სახელმწიფოს სასარგებლოდ? არაერთხელ გითქვამთ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი მდგომარეობა არც ქართველების და არც ოსებისა და აფხაზების ინტერესში შედის. ჩვენი პოლიტიკაც არის სამშვიდობო, ვახორციელებთ უამრავ პროგრამას, თუმცა სანაცვლოდ ვიღებთ მავთულხლართებს, ადამიანების გატაცებებს და მძიმე ვითარებას, რომელიც არის ოკუპირებულ რეგიონებში. ორმხრივი შედეგი თუ აქვს ჩვენს პოლიტიკას, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში ახორციელებს?

- ჩვენ ამ პროგრამებს ვახორციელებთ ოსი, აფხაზი თუ სხვა ეროვნების მოსახლეობისთვის, რომელიც ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე და რომელიც არიან საქართველოს მოსახლეობა. ჩვენ ამას ვაკეთებთ იმისთვის, რომ კონფლიქტი, რომელიც ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაიწყო და ბევრი ტკივილი მოიტანა, რამენაირად დავძლიოთ და ერთმანეთთან ურთიერთობები აღვადგინოთ. მავთულხლართებს არ ვიღებთ იმ სოფლებიდან, რომლის მოსახლეობა თავადვე ჩივის, რომ არ აქვს გადასასვლელი საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. თვითონ ითხოვს მოსახლეობა გაუხსნან გადასასვლელი, რადგან ეს სჭირდებათ სასიცოცხლო მნიშვნელობისთვის. იქ მცხოვრებლების პასუხი არ არის მავთულხლართი, მავთულხლართი არის დამორიშორებით დაინტერესებული ძალის და ეს არის საოკუპაციო რეჟიმის სახე. მავთულხლართი გახდა სიმბოლო რუსული ოკუპაციის, რომელიც მიმართულია ადამიანების წინააღმდეგ. მავთულხლართი ვერ და არ იქნება მდგრადი ზომა, რომ მუდმივად ჩაკეტონ ადამიანები. ჩვენ რატომ გვინდა ევროკავშირთან ინტეგრირება ან რატომ უნდა ადამიანს კარგი განათლება მისცეს შვილს ან ზოგადად, რატომ გვინდა უკეთესაც ვცხოვრობდეთ? იმიტომ, რომ ეს ადამიანური, ბუნებრივი მოთხოვნილებაა. არ შეიძლება ადამიანი ამყოფო მავთულხლართების ციხეში, წაართვა ამ ყველაფრის შესაძლებლობა და ეს ადამიანი იყოს კმაყოფილი. მავთულხლართები ადგილზე მცხოვრები ხალხის პასუხი კი არ არის ჩვენს პოლიტიკაზე, ეს არის საოკუპაციო რეჟიმის პასუხი. სანაცვლოდ ჩვენ არც გვაქვს სხვა გზა, ჩვენ ამ გზით უნდა ვიაროთ. ხალხმა, რომელმაც დავკარგეთ ერთმანეთი კონფლიქტის, მავთულხლართების, პროპაგანდის გამო, უნდა დავიბრუნოთ ერთმანეთი და პარალელურ რეჟიმში რუსეთის მიმართ უნდა ვაწარმოოთ დეოკუპაციის პოლიტიკა.

- სად არის იმ ვითარების შესაცვლელი გასაღები, რომელიც გაუმკლავდება ოკუპანტი სახელმწიფოს ასეთ ნაბიჯებს?

InterPressNews.Ge- ვიმსჯელოთ შედეგებით. ბოლო წლების განმავლობაში ხმამაღალი რიტორიკიდან გამოვედით, მაგრამ ბევრი ნაბიჯი იდგმება ჩართულობის თვალსაზრისით. ცალსახად, მშვიდობიანია ჩვენი პოლიტიკა. ღიად შევთავაზეთ დიალოგი აფხაზებს და ოსებს.

ჩვენ ვთქვით: დიახ! ჩვენ ვესაუბრებით რუსეთს, როგორც კონფლიქტის მთავარ მხარეს, რომელთანაც გვექონდა ომი 2008 წელს, თუმცა ამავდროულად ქართველები მზად ვართ ვესაუბროთ ოსებს და აფხაზებს, რაც ნიშნავს, რომ ამ დონეზე გადავწყვიტოთ პრობლემები და კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები. ბოლო პერიოდის განმავლობაში გაიზარდა ადამიანებს შორის კონტაქტი, აინტერესებთ ერთმანეთის ნახვა. სადაც ბევრი სარგებელია, ის იზიდავს ადამიანს და შესაბამისად, კონცერტებზე ჩამოდიან, ფეხბურთზე და ა.შ. გაიზარდა მიმოსვლა იმ ფონზე, როდესაც პარალელურ რეჟიმში იზრდება ბარიკადები. ბარიკადები სწორედ ამ კონტაქტების შესაფერხებლად იზრდება. მკითხეთ, რა არის გამოსავალიო. მარტივი პასუხია ამაზე - ადამიანთა შორის რაც შეიძლება მეტი კონტაქტი. ყველაზე ეფექტური და მძლავრი ინსტრუმენტი დაინგრეს სტერეოტიპები, არის სწორედ კონტაქტი. ათობით შეხვედრა მინახავს, სადაც საათების განმავლობაში ლღვება მტრის ხატი. ადამიანები ხვდებიან, რომ ჩვენ შეიძლება ბევრი რამით ვგავართ ერთმანეთს, ჩვენი ბებიები შესაძლოა იყვნენ ნათესავებიც კი, აღმოვაჩინეთ, რომ მსგავსი ღირებულებები და ტრადიციები გვაქვს და მიუხედავად დაშორებისა, მაინც ბევრი საერთოა. გამოსავალი არის ასევე სწრაფვაში, რომ ყველას უნდა უკეთესი ცხოვრება და მომავალი. ზუსტად ამიტომ დავდეთ ახალი სამშვიდობო ინიციატივა, რომელსაც „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ჰქვია, რაც ძალიან კონკრეტულ გზებს სთავაზობს ამ ადამიანებს, რომ ერთი მხრივ, სტატუსის თემას არ შევებოთ, რაც ასე მტკივნეულია და ჰიპერპოლიტიზირებულია ამ ადამიანებისთვის, თუმცა გავაუმჯობესოთ ეკონომიკური მდგომარეობა, განათლება და წვდომა გავუმარტივოთ სხვადასხვა რესურსზე, მათ შორის უფიზოდ მიმოსვლაზე. ჩვენი ახალგაზრდები რომ დადიან რომსა და ბარსელონაში, არ მგონია ცხინვალში მჯდარ ადამიანს, რომელსაც გადაადგილება შეუძლებელი აქვს, არ უნდოდეს ამ ქალაქების მონახულება. რაციონალური, საერთო ინტერესებით ნამდვილად გვაქვს პერსპექტივა ყველასთვის სასიკეთო გამოსავალი ვნახოთ.

- როგორც ცნობილია, ქართული მხარე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის არა ერთ პროგრამას ახორციელებს, მათ შორისაა სწორედ „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც თქვენც ახსენეთ. რას მოიცავს და არ არის ამ პროგრამების მიზანი?

- ჩვენ საჯაროდ ვერც კი ვსაუბრობთ, თუ რას აკეთებს სახელმწიფო, რათა ამ მიმართულებებს შემდეგ საფრთხე არ შეექმნას. ჯანდაცვის მიმართულება მეტ-ნაკლებად ყველამ იცის, არის ინტერვენციები სოფლის მეურნეობის მიმართულებით, გარემოს მიმართულებით, ელექტროენერჯის კუთხით არსებული პროგრამებიც მეტ-ნაკლებად ცნობილია. ბოლო პერიოდის განმავლობაში გახშირდა შეხვედრები ზოგიერთი ჯგუფის წარმომადგენლებს შორის - მასწავლებლებს, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს შორის. ამ შეხვედრებზე არ არის საუბარი სტატუსზე, რადგან როდესაც ვიწყებთ საუბარს სტატუსზე, აქვე მთავრდება ხოლმე საუბარიც. ჩვენ ვსაუბრობთ ამ საკითხების კრეატიული გზით გადაწყვეტაზე. ჩვენი მიზანია, მომავალშიც გაგრძელდეს ჩართულობის პოლიტიკა და ყველაზე მეტად ვისაც სჭირდება, იმათ დაეხმაროს. „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ იმიტომ გადავდგით, რომ დავეხმაროთ

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებებს, რათა შევქმნათ ძალიან კონსტრუქციული სივრცე დიალოგისთვის და თანამშრომლობისთვის და ამ ნაბიჯით - უფრო სტაბილური და უსაფრთხო გარემო. არ ყოფილა მოლოდინი, რომ ამ ნაბიჯს პოლიტიკურად მიიღებდნენ აპლოდისმენტებით, პასუხი იყო - არა ცუდია ან კარგი, გვაღიარეთ და მერე. მართლაც სტატუსნეიტრალური გადაწყვეტილებებია. შეუძლებელია ეს არ იყოს მიმზიდველი და საზოგადოებისა და ინდივიდების დონეზე უკვე არის პოზიტიური სიგნალები, რომ მათ უნდათ ამ ინიციატივიდან მიიღონ სარგებელი. ეს არის ფრთხილი გზავნილები, თუმცა არც ისე ფრთხილი. ჩვენ რას მივალწიეთ? - ძალიან რთულ გარემოში შევინარჩუნეთ მშვიდობა. მარტო ტატუნაშვილის მკვლელობა რომ გავიხსენოთ, 26 დღის განმავლობაში ველოდით იმას, რომ როგორც მინიმუმ ცხედარს დააბრუნებდნენ. ძალიან ძნელია უარყოფითი ემოცია მართო და ესკალაცია არ მოხდეს დამაბულობის. ასეთ პროვოკაციებში ვცხოვრობთ. ასე იყო, როდესაც გიგა ოთხოზორია მოკლეს, დავით ბაშარული დაიკარგა და ა.შ. ყოველთვის იწვევს ეს შუღლის გაღვივებას და ეს ტაქტიკაა, რაც ოსებსაც არ აწყობს. ბევრი ოსი ცდილობდა ხმის მოწვედენას, რომ ეს არ არის მათი პოზიცია და ისინი ამას არ იზიარებენ.

- ოთხოზორია-ტატუნაშვილს სიას ერთგვარი პრევენციის სახე აქვს, რომ სამომავლოდ ასეთი დანაშაულებები აღარ მოხდეს და საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებს ეშინოდეთ მსგავსი დანაშაულებების ჩადენის. როგორ ფიქრობთ, ეს სია რამდენად გახდება შემაკავებელი ფაქტორი მსგავსი ფაქტების პრევენციისთვის?

- საგარეო საქმეთა სამინისტრო მუშაობს იმაზე, რომ იმ პირების მიმართ, ვინც არიან კრიმინალები, სანქციები რეალურად ამოქმედდეს. უბედურება და ტრაგედიაა, როდესაც ახალგაზრდა ადამიანების ასეთი ცივისსხლიანი მკვლელობა ხდება. ტრაგედიაა ისიც, რომ დამნაშავეები არ არიან საერთოდ დასჯილები. ოთხოზორიას შემთხვევაში ყველამ ვნახეთ, ვინ არის მკვლელი, მაგრამ ეს ადამიანი თავისუფალია, რაც პრობლემაა. ეს არის ის, რაზეც უნდა დაფიქრდეს აფხაზური მხარეც, ოსური მხარეც და მთლიანად საზოგადოება. კრიმინალის მიმართ, როგორც მინიმუმ, ყველა შეურიგებელი უნდა ვიყოთ. კრიმინალს ვერ შევეგუებით, ვებრძვით ბოლომდე და შეუბრალებლად - კრიმინალს ეროვნება არ გააჩნია. არ შეიძლება მომწონდეს ქართველი კრიმინალი იმიტომ, რომ მსხვერპლი სხვა ეთნიკური წარმომავლობისაა. ასე უნდა მივუდგეთ ამ სიას. რაც შეეხება ზოგადად პრევენციას, არსებობს IPRM და როდესაც ეს მექანიზმი გვაქვს, უმჯობესია კიდევ უფრო ეფექტურად იყოს გამოყენებული. არსებობს ქენევის მოლაპარაკებებიც, სადაც აფხაზებიც არიან და ოსებიც. ჩვენ გვაქვს წინადადება, რომ ამ ფორმატების მიღმა კიდევ ველაპარაკოთ აფხაზებსა და ოსებს. ეს წინადადება ღიაა 2013 წლიდან. ეს ინიციატივა გავიმეორეთ „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში და მუდმივად ვიმეორებთ. ამაში ვგულისხმობთ საზოგადოების სხვადასხვა ნაწილს - გამყოფი ხაზის იქით მცხოვრებ გლეხებს, პროფესიულ ჯგუფებს, თუნდაც გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, თუმცა რა თქმა უნდა, არა როგორც დამოუკიდებელ ერთეულებს, რადგან სტატუსზე არ არის საუბარი. არსებობს სტატუსნეიტრალური ფორმატები

და ყველა დონეზე შეიძლება იყოს დიალოგი და ჩვენ ამისთვის მზად ვართ. სამწუხაროდ, ეს მზაობა მეორე მხრიდან არ არის გამოკვეთილი, მიუხედავად იმისა, რომ სულ იყო საუბარი - ქართველები არ გველაპარაკებიანო. ვამბობთ, რომ უნდა ვისაუბროთ აფხაზებთან და ოსებთან, ვეუბნებით ვისაუბროთ განათლებაზე, ჯანდაცვაზე, სოფლის მეურნეობაზე და ა.შ. ვსაუბრობთ ხოლმე, მაგრამ ამას არ აქვს სისტემატური ხასიათი.

- საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ტატუნაშვილის მკვლელობის შემდეგ ჟენევის ფორმატის დონის გაზრდის ინიციატივა გამოთქვა. ახალ პრემიერს რა ხედვები აქვს ჟენევის მოლაპარაკებებთან მიმართებაში, ხომ არ იგეგმება რაიმე სიახლე ამ ფორმატთან დაკავშირებით?

- ჟენევის ფორმატის მნიშვნელობას პრემიერმა სამთავრობო პროგრამის წარდგენისას გაუსვა ხაზი. ჩვენ გავაგრძელებთ ამ ფორმატში კონსტრუქციულ მონაწილეობას, რადგან ჩვენი ამოცანაა დიალოგის გზით გადავჭრათ პრობლემები. თუ ამას სჭირდება რაიმე ტიპის ცვლილება ან ფორმატის გაძლიერება, ჩვენ ამისთვის მზად ვართ. ჩვენ სულ გვაქვს ინიციატივები, როდესაც საკითხის გადაწყვეტას ეხება საქმე, იქნება ეს ძალის არ გამოყენება, საერთაშორისო მექანიზმების წვდომა, დევნილების დაბრუნება თუ სასწავლებელში ბავშვებისთვის მშობლიურ ენაზე სწავლება. ამ ფორმატის ფარგლებში მხოლოდ პრობლემებზე არ საუბრობს ქართული მხარე, ჩვენ ჩავვაქვს წინადადებები, რათა შევთავაზოთ ასეთი გამოსავლები. პრობლემა იმაშია, რომ ამის საპასუხოდ მეორე მხრიდან მზაობა არ არის. ეს ფორმატი რუსეთის მხრიდან გამოიყენება იმისთვის, რომ პოლიტიკურად დაამტკიცოს ის რეალიები, რასაც მიაღწია ძალით და ცდილობს მუდმივად გავიდეს გვერდზე, როგორც კონფლიქტის მხარე და გახდეს უსაფრთხოების გარანტორი, მაშინ, როდესაც რეალურად არის საოკუპაციო ჯარი. თან ამბობს, რომ ილაპარაკეთ ოსებო და ქართველებო - თუმცა ხელის შეშლის მეტი არაფერი გვინახავს.

- აგვისტოს ომის დაწყებასთან დაკავშირებით ხშირია პოლემიკა, თუ ვინ დაიწყო ომი. თქვენ როგორც სახელმწიფო მინისტრს, როგორი შეფასება გაქვთ და ზოგადად, რამდენად სწორია ამ საკითხზე აპელირება?

- არასწორია ზოგადად ასეთი პოლემიკა, რადგან 2008 წლის ომი არ მომხდარა ერთ დღეში და მოწმენდილ ცაზე. ჰკითხეთ მოსახლეობას და გეტყვით, რომ ტყვიების ზუზუნის გამო სარდაფებში იმალებოდა ხალხი. მიდიოდა ძალისმიერი შეტევები, პროვოკაციული სროლები რუსეთის მხრიდან, იყო დენტის სუნი და რუსეთის მხრიდან მზადდებოდა ძალიან პროვოკაციული ქმედებები. ამის დანახვა თუ არ დანახვა, შეიძლებოდა, ყოფილიყო პასუხისმგებლობა ქართული მხარის და აქედან გამომდინარე ნაკლები უბედურებითა და

რისკით გამოსვლა და პროვოკაციის თავიდან არიდების ალბათობა შესაძლოა მომხდარიყო. ეს ომი დაიწყო 90-იან წლებში. ამ კონფლიქტებს და ჩვენ მეზობლად მომხდარ კონფლიქტებს რა აერთიანებს? ეს არის რუსეთი, რომელიც სხვადასხვა როლითა და ჩაფხუტით ყველგან მონაწილეობს და იმდენი ხერხდება, რომ ყველგან ღია და გადაუჭრელია ეს კონფლიქტი. ეს 2008 წელს არ დაწყებულა. ვინ რა დაინახა, ვინ სწორად მოიქცა, ვინ ცოდვა ჩაიდინა და მე თუ მკითხავთ, ბევრი შეცდომაც დაუშვა... 2004 წელს ერგენტში ვაჭრობა რომ მიდიოდა, კი იყო ჩრდილოვანი ეკონომიკა, მაგრამ ადამიანები დაახლოებულები იყვნენ და კონფლიქტი ყოფით დონეზე ამოწურული იყო. ძალიან კარგად მახსოვს, როგორ ჩატარდა სპეცოპერაცია ოპერაცია და გაწყდა კონტაქტები თანდათან ამის მერე. მე რომ მკითხოთ, როგორც სახელმწიფო მინისტრს, სწორი გზა ერგენტში ვაჭრობის შეჩერება იყო თუ ნორმალიზება, მეორეს ავირჩევდი. არასწორი იყო მისი დაშლა და ასეთი ძალისმიერი მეთოდის გამოყენება, რადგან კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის სრულად იყო ამოწურული, არც გადაადგილების პრობლემა იყო, ახლა კი საერთოდ საოცრებაში ვართ. როდესაც შეხედავ, რომ ასბერგი გეჯახება და ხარ კაპიტანი, ამოცანა არის რაღაცნაირად აირიდო შეჯახება. ეს რომ რუსული აგრესია იყო და ინტერვენცია, ამაზე არავინ დავობს, ამიტომ აქ არის სერიოზული პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის და აქ სხვა შეკითხვები არ შეიძლება არსებობდეს...

შეჯამება რომ გავაკეთოთ, ათი წელი საკმაო დროა, კარგად გავაცნობიეროთ, რა მოგვივიდა და რა შედეგი დადგა. ჩვენ, აფხაზები და ოსები, როდესაც ამას კარგად გავანალიზებთ, გავანალიზებთ თუნდაც ყოფით დონეზე, დავინახავთ, რომ ეს არ არის ის, რაც ჩვენ გვინდოდა, განსაკუთრებით იმ ხალხს ვგულისხმობ, ვინც ცხოვრობს ამ მავთულხლართების მიღმა. ამიტომ ვამბობ, რომ არც ერთი ჩვენგანის ინტერესში არ შედის ეს მდგომარეობა. უნდა დავსვათ კითხვა, თუ რას მივიღებთ ასე გაგრძელების შემთხვევაში ან როგორ უნდა შევცვალოთ მდგომარეობა? მე ასეთ გზად წარმომიდგენია ჩვენს შორის ხიდების მშენებლობა, კონკრეტულ და პრაგმატულ საკითხებზე თანამშრომლობა, ნდობის მშენებლობა და შერიგება. მომავალში რა გვინდა? ვფიქრობ, დღესვე ერთ რამეზე მაინც ყველა ვთანხმდებით. დარწმუნებული ვარ, ცხინვალში მცხოვრებ დედას, ისევე როგორც სოხუმში ან თბილისში, უნდა იყოს მშვიდობა და განვითარებული მომავალი შვილებისათვის. მშვიდობა უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. მუდმივი პროვოკაციების პირობებში კი მშვიდობა არის ძალიან მყიფე, მშვიდობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია დაპირისპირებების აღმოფხვრა და არა გაღვივება, რაც ნდობის მშენებლობის და შერიგების გზაზე გადის. ეს გზა უნდა გავიაროთ. რთული გზაა, ტკივილის და ბევრი ხილული თუ უხილავი დაბრკოლების გადალახვის გზა, მაგრამ აუცილებლად უნდა გავიაროთ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამისთვის.

ალექსანდრე ნაბახტეველი

„ინტერპრესნიუსი“